

5 ოქტომბერი – მასწავლებლის საერთაშორისო დღე



ელსაც მასწავლებლის დღე ჰქვია. მარადიანს გამორჩეული იყო და არის თქვენი პროფესია. განგებამ უდიდესი მისია დაგაკისრათ – თაობების აღზრდა-განათლება. თქვენ კეთილსინდისიერად გაუსწორეთ მზერა მომავალს! ნაყოფიერი, შინაარსიანი, მაღალპროფესიული დევნითა და აღსრულებული მოვალეობით განვლეთ სავალი. მრავალთა სულებს საშვილიშვილოდ ცხოვრად დააჩნდით! არასოდეს დაგივიწყებენ.

ბვირფასო პედაგოგებო! აღმზრდელებო, მოკრძალებით, თბილი გულითა და ქრისტესმიერი სიყვარულით მოგვეფერებთ და მოვილოცავთ საოცრად ლამაზსა და ამაღლებულ დღეს, რომ-

ვიმედოვნებთ, რომ ერთიანი ძალისხმევით, მასწავლებელზე ზრუნვით, მამულს გულგანათლებული, გონებაგანსნილი თაობა აღეზრდება.

იყავით დღევრემლნი, ღვთის წყალობით მოსილნი. კვლავაც პირნათელი ყოფილიყავით ქვეყნისა და შთამომავლობის წინაშე.

ულრმესი პატივისცემით, **როზა გომიშაძე.**

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე

თვეების წინ დაწყებული კონფლიქტმა პიკს მიაღწია

ნუზხარ ასათიანი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალის სკოლის დირექტორ სპარტაკ გოგიტიძისა და სკოლის ყოფილი სამეურვეო საბჭოს წევრის, ამირან შავაძის დაპირისპირებამ პიკს მიაღწია. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების (№13 595 30.09.2015 წ.) შესაბამისად, შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე, დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლის დირექტორს სპარტაკ გოგიტიძეს შეუწყდა შრომითი ურთიერთობა.

1 ოქტომბერს, ადგილობრივი მოსახლეობა, საჯარო სკოლის მოსწავლეები, მათი მშობლები და პედაგოგები, სპარტაკ გოგიტიძის გათავისუფლებას დაბა ნასაკირალის ცენტრში აპროტესტებდნენ. ცენტრში შეკრებილი მოსწავლეებისა და მათი მშობლების განცხადებით, სკოლა არ განაზღვრავს მანამ, სანამ არ დაბრუნდება თავის ადგილზე დირექტორი.

მოსახლეობასა და ამირან შავაძის ოჯახს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა. ადგილზე მობილიზებული იყო სამართალდამცავები, აუცილებელი გახდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანის გამოძახება. დაშვებული მძებნი ამირან და ზურაბ შავაძეები საავადმყოფოში გადაიყვანეს.

2 სექტემბერს სკოლაში სწავლა არ გაგრძელდა. საპროტესტო აქცია გრძელდებოდა. მანამდე ამირან და გურამ შავაძეები შსს ოზურგეთის რაიონულ პოლიციაში იმყოფებოდნენ დაკითხვაზე. პოლიციაში გასაუბრებაზე ნასაკირალის სკოლის დირექტორის ყოფილი მოადგილე თ. შავიშვილიც იყო.

მაინც რა გახდა კონფლიქტის მიზეზი?
2013 წლის მაისში, სკოლის სამეურვეო საბჭოს არჩევნებისას, საბჭოში აირჩიეს სპარტაკ გოგიტიძე, სამი სხვა პედაგოგი, მძებნი ამირან და



უბველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. №39 (10129), 5 ოქტომბერი, 2015 წ. შპსი 50 თეთრი.

„უჩი-შეპიტილის ტურისტულ-სარეკრეაციო კომპლექსის მიწათსარგებლოების გენერალური გეგმის“ პროექტის საჯარო განხილვა

დაბა უჩის კულტურის სახლში უჩი-შეპიტილის ტურისტულ-სარეკრეაციო კომპლექსის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის საჯარო განხილვა გაიმართა. პრეზენტაციას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე კახა ფოცხიშვილი და შპს „არტსტუდიო“-ს წარმომადგენელი, არქიტექტორი

ვაჟა კუხიანიძე გაუძღვნენ. აღნიშნული პროექტი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაკვეთით სრულდება. საჯარო განხილვას სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი გურიის მხარეში გია სალუქვაძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია და ადგილობრივი მოსახლეობა დაესწრნენ.



ოზურგეთში საქართველოს კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების შესახებ კონსტიტუციური კანონის საყოველთაო-სახალხო განხილვა გაიმართა

1 ოქტომბერს, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის საყოველთაო-სახალხო განხილვა გაიმართა. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. დარბაზში მყოფი შესაძლებლობა ჰქონდათ მათთვის საინტერესო შეკითხვებზე პასუხი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის წევრებისაგან: ზვიად დიძეურისგან, გია ფორჭოლაიანისგან, ვახტანგ ხმალაძისგან, გიორგი გაჩეილაძისგან, ვასილ გონაშვილისა და ქეთევან ჩაჩავასგან მიღლით.

კანონპროექტის მიზანია კონსტიტუციით დადგენილი საარჩევნო სისტემის ადაპტირება ქვეყნის პოლიტიკური სისტემის განვითარების დინამიკასთან. ამ მიზნით, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს პარლამენტის არჩევა პროპორციული საარჩევნო სისტემით, მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით.

კანონპროექტის მიზანია კონსტიტუციით დადგენილი საარჩევნო სისტემის ადაპტირება ქვეყნის პოლიტიკური სისტემის განვითარების დინამიკასთან. ამ მიზნით, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს პარლამენტის არჩევა პროპორციული საარჩევნო სისტემით, მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით.



ამიკასთან. ამ მიზნით, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს პარლამენტის არჩევა პროპორციული საარჩევნო სისტემით, მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით.

კანონპროექტის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციით განისაზღვრება, რომ საქართველოს პარლამენტი შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით, მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით პროპორციული სისტემით არჩეული 150 პარლამენტის წევრისაგან. ამასთანავე, განისაზღვრება,

რომ პარლამენტის წევრთა მანდატები შეიძლება მიეკუთვნოს მხოლოდ იმ საარჩევნო სუბიექტებს, რომლებიც მიიღებენ ყველა მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქის მიხედვით არჩევნებში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ხმების 4%-ს მაინც, ხოლო თითოეულ მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში საარჩევნო სუბიექტებს შორის პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდება მათ მიერ შესაბამის საარჩევნო ოლქში მიღებული ხმების პროპორციულად ორგანული კანონით დადგენილი წესით. აღსანიშნავია, რომ საარჩევნო ზღურღლი მცირდება 5-დან 4 %-მდე, რაც შეამცირებს ე.წ. „დაკარგული ხმების“ რაოდენობას.

შემოღნიშნული ცვლილება ძალაში შევა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად არჩეული პარლამენტის პირველი შეკრებისთანავე და ამ ცვლილების შესაბამისად ჩატარდება შემდგომი საპარლამენტო არჩევნები. კონსტიტუციის განხილვაზე საინტერესო კითხვები დასვეს როგორც ოპოზიციური პარტიების ისე ხელისუფლების წარმომადგენლებმა.

შეხვედრას სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი გურიის მხარეში გია სალუქვაძე, ადგილობრივი თვითმმართველობის, არასამთავრობო საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები დაესწრნენ.


გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მოქმედებების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;
- სამედიცინო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გასვენება, ნეკროლოგი - სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- ახალი წლიდან ალიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორმაგად
- საჯარო ფასი: 50 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2 ლარი, სამი თვით - 6 ლარი, 6 თვით -12 ლარი, ერთი წლით - 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო მოქმედება
რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
 nugzarasatiani@rambler.ru
 558 499100
 საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
 tem52@mail.ru
 599 373515
კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
 gia_77@mail.ru
 551 576060
 რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
 ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
 გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
 მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

„ჩვენ საბავშვო ბაღებში ინკლუზიური სწავლების დანერგვაზე ვუშაობთ“



ალიონი. - ჩვენ საბავშვო ბაღებში ინკლუზიური სწავლების დანერგვაზე ვუშაობთ. უკვე რამდენიმე საბავშვო ბაღში შშმ პირებს სათანადო სწავლის პირობები შეუქმნით - გვითხრა ოზურგეთის თემების მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანების უფროსმა **ავთანდილ მექვაბიშვილმა**. როგორც ავთანდილ მექვაბიშვილმა ამბობს, რამდენიმე ბაღში ინკლუზიური სწავლება მარშან

დაიწყო. ამჟამად შშმ ბავშვები სწავლობენ ძიმითის, დეგაბზუს, ნატანების, ლაითურის (3 ბავშვი სკოლამდელ სასწავლო-სააღმწერ-დელო დაწესებულებებში. მათთვის 0,5 საშტატო ერთეულზე აყვანილი უნდა მოახდინონ საბავშვო ბაღებში ამ ბავშვების ადაპტაცია და ინტეგრირება დანარჩენ ბავშვებთან. თუ რა პირობებია ასეთი ბავშვებისათვის სკოლამდელ სასწავლო დაწესებულებებში (ეგულისხმობთ პანდუსებს და სხვა ატრიბუტებს) მექვაბიშვილი გვპასუხობს, რომ ისინი ცდილობენ შშმ ბავშვებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნას - ბაღების კაპიტალური რემონტის დროს მოეწყოს პანდუსები და ტუალეტები. ყველა ასეთ მოთხოვნას დააკმაყოფილებს სოფ. ჭანიეთში მშენებარე საბავშვო ბაღი. მომავალში ასეთი გარემო ყველა საბავშვო ბაღში იქნება.

„მერცხალის“ მეორე გაბარჯვა

საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის გუნდებს შორის მოასპარეზე „მერცხალმა“ წლებიდან დათმავდა მეორე გამარჯვება იხეიმა. მეექვსე ტურის კალენდარულ მატჩში ოზურგეთელთა გუნდი ხარავოლის „ჩხერიმელას“ მასპინძლობდა. მატჩი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. „მერცხალის“ შეტევებს სტუმრები სახიფათო კონტრშეტევებით პასუხობდნენ და რამდენჯერმე რეალური სახიფათო მომენტი შექმნეს მასპინძელთა კართან. გოლიც შეაგდეს, ოღონდ თამაშ-

არე მდგომარეობიდან. მეორე ნახევარში „მერცხალმა“ შეძლო მატჩში გარდატეხის შეტანა და გამარჯვების მაუწყებელი გოლის გატანა. ოზურგეთელებს 6 ტურის შემდეგ 8 ქულა დაუგროვდათ (2 მოგება, 2 ფრე, 2 წაგება, ბ/შ 8:11). ამ შემდეგ ხარავოლის წინააღმდეგობით გუნდი გათამაშების ცხრილში ჯერჯერობით მეათე ადგილზეა. პირველი ლიგის ჩემპიონატის ერთპიროვნულად 16 ქულით აჩაბეთის „ლიახვი“ ლიდერობს.

თუ თაფლის ევროპის ბაზარზე გატანას ვაპირებთ, ფუტკარს ძლიერი ქიმიური პრეპარატებით არ უნდა ვუშაურნალოთ

ალიონი. „თუ თაფლის ევროპის ბაზარზე გატანას აპირებთ, პირველ რიგში, ფუტკარს ძლიერი ქიმიური პრეპარატებით არ უნდა უშაურნალოთ“, - მრავალმუხლიანი რეკომენდაციის პირველ მუხლად პოლანდელი ექსპერტმა ფუტკარის მოვლისა და თაფლის წარმოების დარგში გრით ვან აიხუნგამ სწორედ ეს უთხრა ოზურგეთში, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში შეკრებილ, გურიაში მოღვაწე პროფესიონალ და დამწყებ მეფუტკრეებს.



შეხვედრა, რომელიც სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის ადმინისტრაციის ორგანიზებით (ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან თანამშრომლობით) ჩატარდა ორ საათზე მეტხანს მიმდინარეობდა. გრით ვან აიხუნგამ ისაუბრა ფუტკარის სხვადასხვა დაავადებებზე და ამ დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ ღონისძიებებსა და სამკურნალო საშუალებებზე; ახსნა თუ რა აუცილებელი პირობებია საჭირო ორგანული თაფლის

დასამზადებლად; ყურადღება გაამახვილა ფუტკარის მუშაობის ზოლში გარემოს განსაკუთრებულად დაცვის აუცილებლობაზე; წელიწადის სხვადასხვა დროს ბუნებრივი „სადივით“ ფუტკარის ოჯახების უზრუნველყოფაზე; გამოზამთრებაზე; სკის მოვლის ევროპულ გამოცდილებაზე; დამწვრეთ უჩვენა შესაბამისი დოკუმენტური ფილმები; უპასუხა ადგილობრივი მეფუტკრეების შეკითხვებს.

ცოტნე ლაღიანის სახელობის სამართაშორისო ტურნირზე

25-27 სექტემბერს ქალაქ ზუგდიდში ჩატარდა ცოტნე ლაღიანის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ძიუღოში ორ ასაკობრივ ჯგუფში. მონაწილეობდნენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქების, რაიონების, სომხეთისა და აზერბაიჯანის გუნდები. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის გუნდიდან 2002-2003 წლებში დაბადებული შორის 42 კგ წონით კატ-

ეგორიაში მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო და მეორე ადგილი დაიკავა გელა ქურასხელიანმა (მწვრთნელი დიმიტრი ტულუში); 46 კგ წონით კატეგორიაში მესამე ადგილი მოიპოვა საბა ხოზრევანიძემ (მწვრთნელი გოჩა ბურჭულაძე). 200-2001 წლებში დაბადებული შორის მესამე ადგილი ზედა წილად 55 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე გოდერძი ქათამიძეს (მწვრთნელი დავით ჩიკაშუა).

რკინის ალაშიანი - გენერალ-პოლკოვნიკი პორფილე ჩანჩიბაძე

ასეთი ბიძის საბრძოლო ისტორიებით უნდა იზრდებოდნენ მომავალი თაობები



არც თუ ისე დიდი ხნის წინათ რედაქციაში ერთმა ქალბატონმა განცხადება შემოიტანა გამოსაქვეყნებლად. მეცნო ეს ქალბატონი, ანაყულში მუშაობდა, მაგრამ არ მეგონა თუ გენერალი პორფილე ჩანჩიბაძე მისი ბიძა იყო. ვთხოვე, იქნებ საგაზეთოდ რაიმე მოეწაადებინა თავისი ბიძის შესახებ. შემპირდა... სამი დღის შემდეგ ისევ მივიღე, არაფერი გამომდისო, მომიბოდიშა, ჩანთიდან ელვერ კუპატაძის წიგნი „გენერალი ჩანჩიბაძე“ და საოჯახო ალბომიდან ამოკრებილი ფოტოები ამოიღე. მას შემდეგ ამ ყდაც კრეცოლ წიგნს ვუტრიალებ, მეც არაფერი გამომდის და ეს ყველაფერი ამ წიგნის ავტორის ბატონი ელვერ კუპატაძის ბრალია. იმ დალოცვილს ყველაფერი ისე აუკინდავს, აბზაცს კი არა, სიტყვას ვერ ამოაგდებ

ვერც ერთი გვერდიდან. თვითონ წიგნს „ალიონის“ კი არა, „ნიუ-იორკ ტაიმის“ ფორმატი ვერ დაიტევს. ნაშრომში, მდიდარ საარტიკლო მასალებსა და სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, განხილულია საბჭოთა კავშირის ქართველი გმირის, გენერალ-პოლკოვნიკი პორფილე ჩანჩიბაძის სამხედრო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ომის წინა, მეორე მსოფლიო ომისა და ამ ომის შემდეგ პერიოდებში. ერთ ეპიზოდს შემოვთავაზებ გმირის დიდი საბრძოლო ისტორიიდან, რომელიც ამ წიგნშია მოთხრობილი. ქართველი მეთაურის შეუპოვობისა და მაღალი საბრძოლო ხელოვნების გამო-ისობით, დივიზიამ არათუ თავი დააღწია მტრის ალყას, არამედ აურაცხელი ზარალი მიყენა მას როგორც ცოცხალი ძალების განადგურებით, ისე საბრძოლო ტექნიკის ხელში ჩაგდებათ: „... ჰ ჩანჩიბაძის 107-ე მოტომსრო-ლეული დივიზია ალყაში მოექცა და მას სრული განადგურების საფრთხე შეექმნა. დადგა ისეთი კრიტიკული მომენტი, რომელიც არც პ. ჩანჩიბაძესა და არც მის მებრძოლებს აქამდე არასოდეს არ შეხვედრია. გერმანელებს თითქოს დაუღვრათ სანატრელი დრო - შური ეძიათ მე-20 სატანკო და 106-ე ქვეითი დივიზიების განადგურებისათვის. 107-ე მოტომსროლეული დივიზიის მდგომარე-

ობას ისიც ართულებდა, რომ წითელი არმიის ნაწილებისაგან ის საკმად დაშორებული იყო და, სანამ გარედან დახმარებას მიიღებდა, მანამ გერმანელები თავისას იზამდნენ. ვიტარება თითქმის გამოუვალი ჩანდა. ხსნის ერთადერთი იმედი დივიზიის მეთაურისა და მთელი პირადი შემადგენლობის მამაცობა და ოპტიმისტური განწყობილება იყო. მტრის გარემოცვაში მყოფმა 107-ე მოტომსროლეული დივიზიამ დაიწყო უთანასწორო ბრძოლები. პ. ჩანჩიბაძეს კარგად ესმოდა, რომ შენაერთი უკვე განიცდიდა სურსათის, ტყვია წამლისა და იარაღ-საჭურვლის ნაკლებობას. ამიტომ, საჭირო იყო, რაც შეიძლება სწრაფად გაერღვია ალყა და შენაერთის პირადი შემადგენლობა დაეუკვისაგან ეხსნა. 1941 წლის 6 ოქტომბერს, ღამით, 107-ე მოტომსროლეული დივიზიამ ორგანიზებულად დაიწყო ალყიდან გამოსვლა ქვეითად, ჩრდილო აღმოსავლეთის საერთო მიმართულებით (სტანიცა ნიკიტა-სმოლენსკის ოლქი, კალინინის ოლქის ტყის მასივების გაყოფით; კნიაჟი-გორი, მოსკოვის ოლქი). დივიზიამ თავი დააღწია გარემოცვას და გამოვიდა მოსკოვის ოლქის ზუტორ გრიბანოვსკის რაიონში მდ. ლამას დაცვის უბანში, რომელიც გამაგრებული იყო დივიზიის ზურგის ნაწილებისაგან

შემდგარი 120-ე მოტომსროლეული პოლკის ათასეულით. 107-ე მოტომსროლეული დივიზიამ პ. ჩანჩიბაძის მეთაურობით, ალყიდან გამოსვლის დროს ფეხით გაიარა 400 კილომეტრი სმოლენსკის, კალინინისა და მოსკოვის ოლქის ტერიტორიები და 31 ოქტომბერს საბოლოოდ დააღწია თავი მტრის გარემოცვას ქ. კლინის რაიონში. ამასთანავე, შეინარჩუნა პირადი შემადგენლობა და შეიარაღება. გერმანულ ფაშისტთა ალყიდან გამოსვლისათვის წარმოებული ბრძოლების დროს 107-ე მოტომსროლეული დივიზიის მებრძოლებმა განადგურეს მოწინააღმდეგის 4 ტანკი, 21 ავტომანქანა, 2 ქვეთი, 6 ტყვიამფრეკვევი, 80 ოთხთავალი, მოკლეს მტრის 179 ჯარისკაცი და ოფიცერი...“ ელვერ კუპატაძის ეს წიგნი 31 წლის წინ არის გამოცემული, მაგრამ ეს არ არის მხოლოდ წინა თაობების საკითხავი ლიტერატურა. პორფილე ჩანჩიბაძისა და მისი მსგავსი გმირების საბრძოლო ისტორიები უნდა ეცნობოდნენ და მათ მაგალითზე უნდა იზრდებოდნენ მომავალი თაობები. ამიტომ, ხომ არ არის დრო, ვიზრუნოთ ასეთი წიგნების განახლებასა და ხელმოწერულ გამოცემაზე? **თემურ მარშანიშვილი**

დაინყეთ ყოველი ოჩმაბათი ადიონზე
«ალიონით»

თვეების წინ დაწყებული კონფლიქტმა პიკს მიაღწია

გურამ შავაძეები და ძმისშვილი ზურაბი.

2014 წლის 21 ნოემბერს გაიმართა სკოლის დირექტორის არჩევნები. დირექტორობის კანდიდატი სპარტაკ გოგიტიძე იყო. მას არ ჰქონდა ხმის უფლება, მაგრამ სამეურვეო საბჭოს ყველა წევრმა ხმა მისცა და დირექტორად აირჩიეს. პირველი, რაც გააკეთა გოგიტიძემ, გამოცდილი პედაგოგი, სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე თინათინ შავიშვილი გაათავისფლა თანამდებობიდან.

მას შემდეგ, რაც ამირან შავაძემ რამდენიმე შენიშვნა მისცა ახლად-არჩეულ დირექტორს მოსწავლეების მიერ სწავლის გაცდენისა და სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირების ასვლის გამო, მათ შორის სიტუაცია დაიძაბა (იხ. გაზ. „ალიონი“, №17. „დაუბრუნდება თუ არა სკოლას ოთხი მოზარდი.“) ამირან შავაძეს სამარშრუტო მიკროავტობუსით ბავშვები გადაჰყავდა სკოლაში. სპარტაკ გოგიტიძემ შავაძეს შრომითი ხელშეკრულება შეუწყვიტა. შავაძემ

განათლების სამინისტროს გენისპექციას მიმართა. ამირან შავაძე ერთ-ერთი პედაგოგის მიერ უმცროსი ბავშვის შეურაცხყოფაზეც აცხადებდა. განათლების სამინისტრომ სამეურვეო საბჭოს წევრობიდან გაათავისუფლა ამირან, გურამ ზურაბ შავაძეები, როგორც ახლო ნათესავები.

2015 წლის 23 მარტიდან ამირან შავაძის 4 შვილი სკოლაში არ წასულა. მიუხედავად განათლების რესურსცენტრის ხელმძღვანელობის, სოციალური მომსახურების სააგენტოს გურიის რეგიონალური სამსახურის, მუნიციპალიტეტის ადგილობრივი წარმომადგენლების, საზოგადოების ჩარევისა, კონფლიქტი არ მოგვარდა. არც სკოლის დირექტორი თმობდა პოზიციას და არც ამირან შავაძე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 5 მარტის ბრძანებულებით, საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის საჯარო იურიდიულ პირს — ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლას გაფრთხილება

მიეცა. დაიწყო ახალი სასწავლო წელი, მაგრამ ამირან შავაძის ბავშვები სკოლაში არ წასულან. რამდენიმე დღის წინ გაზეთი „ალიონი“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ წარმომადგენლებს და სასულიერო პირებს შეხვდა.

— ძალიან გვინდა ბავშვები სკოლაში წავიდნენ, მაგრამ მამის პოზიციაზე არიან — ამბობდნენ ისინი.

1 ოქტომბრის დაპირისპირების შემდეგ **ლელა იმედაშვილმა** გაზეთ „ალიონთან“ განაცხადა: — საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გენისპექციის დასკვნის საფუძველზე სპარტაკ გოგიტიძე გათავისუფლებულია თანამდებობიდან. მინისტრის ბრძანება სკოლის სამეურვეო საბჭოს მიუვიდა.

დღეს (2 ოქტომბერს) სწავლა კი დაიწყო ნასაკირალის საჯარო სკოლის დაწყებით კლასებში, მაგრამ მომდევნო გაკვეთილებზე მშობლებმა შეიღებინა სკოლიდან წიფვეანეს. კი ბატონო, არის პროტესტი და

ითხოვენ სკოლის დირექტორის თანამდებობაზე დაბრუნებას, მაგრამ სამინისტროს ბრძანების გაუქმება მხოლოდ სასამართლოს შეუძლია და სხვა გზა გამორიცხულია.

— ქალბატონო ლელა, იყენებ თუ არა ამირან შავაძის შეიღებულ სკოლაში?

— არ მომიკითხავს. ეს სოციალური მომსახურების სააგენტოს გურიის რეგიონალური სამსახურის პრეროგატივაა. იმედი გვაქვს, პრობლემა მოგვარდება და ბავშვები სკოლას დაუბრუნდებიან.

ვასილ ზომერიკი, სოციალური მომსახურების სააგენტოს გურიის რეგიონალური სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი: — კონსტიტუციურად ყველა ბავშვს აქვს განათლების მიღების უფლება და ის არ უნდა შეუზღუდონ. ჩვენ ჩართულნი ვართ ამ პროცესში. სკოლასაც მეტი აქტიურობა მართებდა ბავშვების სკოლაში დასაბრუნებლად. თუმცა მამის როლი ამ პროცესში მნიშვნელოვანია. სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი მუშაობდნენ ბავშვებთან.

უფროსი გოგონები მამის პოზიციას იზიარებდნენ, უმცროსები სკოლაში წასვლის სურვილს ამჟღავნებდნენ. თუ ამირან შავაძე პოზიციას არ შეცვლის და ბავშვები არ მიიღებენ განათლებას, სოციალური მომსახურების სააგენტო ადეკვატურ ზომებს მიიღებს.

რედაქცია ნასაკირალის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე **ნანა მიქაძეს** დაუკავშირდა, რომელმაც გვითხრა, რომ 2 ოქტომბერს არც ერთ კლასში გაკვეთილი არ ჩატარებულა. მან გვითხრა, რომ მობილური ტელეფონი ეთიშებოდა და საუბარს ვერ გააგრძელებდა.

ისე, როგორც გვითხრეს, ნანა მიქაძე ამ კონფლიქტით მოგებული დარჩება, რადგან მისი მეუღლე ზაზა ცეცხლაძე დირექტორის მოადგილეა, განათლების სამინისტრო მას დააკისრებს დირექტორის მოვალეობის შესრულებას და ცეცხლაძეს სამეურვეო საბჭოშიც საკმაოდ ხმები აქვს სპარტაკ გოგიტიძის ჩასანაცვლებლად.

უმხვედრა საზოგადოებრივი საბჭოს წევრებთან



• გურიის გუბერნატორის ვია სალუქვაძის ინიციატივით შექმნილი სამხარეო ადმინისტრაციასთან არსებული სათათბირო ორგანო - საზოგადოებრივი საბჭოს რიგით მეორე შეხვედრა გაიმართა.

სამხარეო ადმინისტრაციაში საზოგადოებრივი საბჭოს წევრებს გუბერნატორი მოადგილეებთან ერთად შეხვდა.

საზოგადოებრივი საბჭო ყველა იმ პროფესიონალი, გამოცდილი და გამორჩეული წევრით

დაკომპლექტდა, რომლებიც განსაკუთრებულად მოწოდებულნი არიან მშობლიური კუთხისთვის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის, სხვადასხვა მიმართულებით გუბერნატორთან ერთად სასიკეთო საქმეები აკეთონ.

სათათბირო ორგანოს უპირველესი ფუნქცია გურიის რეგიონის პერსპექტიული განვითარების, დაგეგმვისა და განხილვის პროცესში რეკომენდაციების შემუშავება იქნება.

საზოგადოებრივი საბჭო ვია

სალუქვაძის ხელმძღვანელობით ორ თვეში ერთხელ შეიკრიბება. დღევანდელ შეხვედრაზე დამტკიცდა საზოგადოებრივი საბჭოს დებულება და სტრუქტურა.

აღნიშნული სათათბირო ორგანო საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ნოემბრის სახელმწიფო რწმუნებულის — გუბერნატორის დებულების დამტკიცების შესახებ № 308 დადგენილების მე-12 მუხლის შესაბამისად დაფუძნდა.

ქართული ქორეოგრაფიის ამაღლების წოდება და ოქროს მედალი „გურიას“



საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირმა, ქართულ საცეკვაო ხელოვნებაში შეტანილი წვლილისთვის, სახელმწიფო ანსამბლ „გურია“-ს წევრები ქართული ქორეოგრაფიის ამაღლების საპატიო წოდებითა და ოქროს მედალებით დააჯილდოვა.

მედლები ანსამბლის წევრებს ქალაქ ოზურგეთის მუნიცი-

პალიტეტის მერმა, **ბეგლარ სიორიძემ** გადასცა, წარმატება მიულოცა და ყველა საჭირო შემთხვევაში მხარდაჭერა აღუთქვა.

ქართული ქორეოგრაფიის ამაღლების საპატიო წოდება და ოქროს მედალი ანსამბლ „გურია“-ს შეიღმა მოცეკვავემ: გოგა ხანთაძემ, თეონა ნინიძემ, თათია თავართქილაძემ, საბა სალუქვაძემ,

საბა სურგულაძემ, დავით მკურნალიძემ, ბექა თოიძემ და მუსიკოსმა, ირაკლი ჭალაღიძემ მიიღეს.

ბეგლარ სიორიძე ახალგაზრდებს სხვა მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზეც გაესაუბრა და აღნიშნა, რომ მალე ოზურგეთში ახალგაზრდული ცენტრი გაიხსება, რომელიც მათი თაობის ყველა წარმომადგენლისთვის სხვადასხვა საინტერესო პროფილით დაიტვირთება. ამავე შეხვედრაზე ახალგაზრდებმა მერს სოფლების მიმართულებით მოძრავი ტრანსპორტის, სადამოს მარშრუტის ერთი საათით გადანაცვლება სთხოვეს, რაც, ამავდროულად, მოსახლეობის სურვილიცაა.

ქალაქის მერი ახალგაზრდებს დახმარებას დაჰპირდა. „მეცდები, თქვენი პრობლემა უახლოეს მომავალში მოვაგვარო“ - აღნიშნა ბეგლარ სიორიძემ.

ბიუროს საკრებულოზე განსახილველი საკითხები დღის წესრიგში შეიტანა



დღეს ბიუროს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი დამტკიცდა.

საკრებულოს წევრები, გამგებლის მიერ ყოველწლიური ანგარიშის წარდგენის იმ ფორმას დამტკიცებენ, რომელიც არასამთავრობო რეაზიაცია „საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირმა“ წარმოადგინა.

„აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოება იყო დაწყებული. პროექტში კონკრეტული ცვლილებების შემდეგ, საკრებულოს სხდომაზე გადის საკითხი დასამტკიცებლად. მხარებს ის ფაქტი, რომ თანამშრომლობა ჩვენ ორგანიზაციასა და საკრებულოს შორის პროდუქტიულია. სამომავლოდაც

გაგაგრძელებთ ურთიერთანამშრომლობას“ — განაცხადა **ლევან ხინთიბიძემ**.

საკრებულო, მშენებლობის სანებართვო პირობების შესრულების თაობაზე და მომსახურების მოსაკრებლის გადხდის წესისა და ოდენობის შესახებ, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებაზეც იმსჯელებს. ასევე მუნიციპალიტეტის დამტკიცებულ ბუჯეტში ცვლილებებზე იგეგმება ბიუჯეტში სხდომაზე ასახული ფრაქცია „ქოფუნული ფორუმი“ დაარეგისტრირა, რომლისაც საკრებულო ცნობდა მიუღებს. საკრებულოს მორიგი სხდომა კი, დამტკიცებული დღის წესრიგით, 7 ოქტომბერს, 11 საათზე სხდომითა დარბაზში გაიმართება.

თვითმმართველი თემი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ მოძრავ ქონებაზე

№	დასახელება	სახელმწიფო ნომერი	გამშვების წელი	„ბე“ 10% (ლარი)	„ბიჯი“ 5% (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)
1	ავტომობილი „MERCEDES BENZ ML 320“	BA 808 AC	2003	700	350	50	7000
2	ავტომობილი (სატვირთო, ზღრტიანი - ამორტიზებული) „UAZ - 452“	00 937 ZZ	1985	18,5	9,25	50	185

აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია

ა. საწყისი ფასი ბიჯის დანამატის უმცირესი მაქსიმალური ფასის გადახდა;
 ბ. საპრივატიზაციო თანხის დაფარვა აუქციონის ჩატარებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში;
 აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის უნდა წარმდგინოს უმცირესი ღირებულების დოკუმენტაცია:
 მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
 პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
 სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში);
 „აუქციონში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, ან ასეთ პირთა გაერთიანებას, რომელთა ქონებაში საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25 %-ზე ნაკლებია;
 „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის საფასური შეტანილი უნდა იქნეს შემოსავლების ერთიან ანგარიშზე, შემდეგ სახაზინო კოდზე 300903205;
 „დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემ მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიაში“; მისამართი: ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. 1 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა;“
 „აუქციონში მსურველთა განცხადებების მიღება მიმდინარეობს ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა, 2015 წლის 5 ოქტომბრიდან 4 ნოემბრის 12 სთ-მდე;“
 აუქციონი ჩატარდება 2015 წლის 4 ნოემბერს, 14 სთ-ზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შენობაში;
 "ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემ მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისია“
 ტელ: 595 906 305, 599 33 32 23, 599 70 47 70."



გზა ევროპისკენ

საქართველოს ევროპული გზა

საქართველოს უახლესი ისტორია დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას უკავშირდება. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის პრიორიტეტებს ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია წარმოადგენს. ამ პრიორიტეტების ირგვლივ არის გაერთიანებული მმართველი და ოპოზიციური პოლიტიკური ძალები, საზოგადოება, მოქალაქეები, თაობა, რომელმაც საქართველოს ევროპული მომავლის შესახებ 20 წლის წინ მიიღო გადაწყვეტილება და თაობა, რომელიც დღეს და მომავალშიც ამ მიზნის განხორციელებას ემსახურება.

საქართველოს ევროპული ინტეგრაციის დინამიკა უდავოდ დადებითად უნდა შეფასდეს. ჩვენ 2013 წლის ნოემბერში ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება გავაფორმეთ, რაც თავად ევროინტეგრაციის პროცესს შეუქცევადს ხდის.

რა არის ევროკავშირი და

რას ნიშნავს საქართველოსთვის ასოცირების შეთანხმების წარმატებული განხორციელება? ევროკავშირის წევრ 28 ქვეყანას დემოკრატიულ პრინციპები, ეკონომიკური და სტაბილური განვითარება, პროგრესი, ერთმანეთის სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების პატივისცემა აერთიანებს. დღეს ევროკავშირში 500 მილიონზე მეტი მოქალაქე ცხოვრობს და მათი თანაცხოვრების მთავარი პრინციპი ურთიერთპატივისცემა და ერთმანეთის უფლებების დაცვაა. მათ აქვთ საერთო ბაზარი და კეთილდღეობა, რომელიც ევროპის ყველა მოქალაქისათვის არის ხელმისაწვდომი. ტრადიციულად, ევროპა პროგრესსა და განვითარებასთან იყო ასოცირებული. ქრისტიანობაც ევროპაში დაიბადა. ევროკავშირის დევიზია „ერთობა მრავალფეროვნებაშია“. ეს მართლაც ასეა. 28 ქვეყნის კულტურული, რელიგიური, ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა და ტრადიციები ამდღერებს ევროპულ კულტურას და საინტერესოს ხდის მას. ეს არის კავშირი, რომელსაც 24 ოფი-

ციალური ენა აქვს; სადაც ყველა თანაბარი უფლებით სარგებლობს; ყველას აქვს განათლების მიღების საშუალება; ყველას შეუძლია თავისი რწმენის მიხედვით აღმსარებლობა; ტრადიციებს, კულტურას, ფოლკლორს ყველა სცემს პატივს; კანონი ყველას თანაბრად იცავს.

ევროკავშირი თვალსაზრისით, ევროკავშირი საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი საბაზრო სივრცეა. ასოცირების შეთანხმების გაფორმების შემდეგ, საქართველოს 2014 წლის 1 სექტემბრიდან აქვს ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობა. რეალურად ეს არის ჩვენი ეკონომიკისთვის ყველაზე დიდი სივრცე, თუმცა უნდა ითქვას, რომ ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობა არ გვიზღუდავს სხვა ბაზრების ათვისებას. მთავარია, ჩვენ მინიმალური შეცდომებით და მაქსიმალური წარმატებით შევძლოთ გარკვეული ვალდებულებების დაკმაყოფილება. რაც შეეხება ვალდებულებებს, ეს არის ის აუცილებელი ღონისძიებები, რაც ჩვენ უნდა

განვახორციელოთ არა მხოლოდ იმისათვის, რომ ჩვენ ევროპულ ბაზარზე შევადგინოთ, არამედ იმისათვის, რომ ჩვენი ცხოვრება იყოს უკეთესი, გვქონდეს ჯანსაღი გარემო და უვნებელი პროდუქტი. ასოცირების შეთანხმება ევროკავშირში წევრობას არ ნიშნავს. ეს არის ჩვენი უკეთესი მომავლის, განვითარების, ახალი შესაძლებლობებისა და პერსპექტივების გარანტი. ასოცირების შეთანხმება არის ვრცელი დოკუმენტი და იმ შეთანხმებათა ნუსხა, რომელიც საქართველომ უნდა განახორციელოს იმისათვის რომ ჩვენი ცხოვრების დონე, როგორც პოლიტიკური, სამართლებრივი, ასევე ეკონომიკური და სოციალური, მიუახლოვდეს ევროპულ სტანდარტებს. ასოცირების შეთანხმებით იფარება პრაქტიკულად ყველა სფერო: განთავლება, ჯანდაცვა, ინფრასტრუქტურა, კანონის უზენაესობა, მოწესრიგებული სავაჭრო ურთიერთობები, რეგიონული მოწყობა, დეცენტრალიზაცია, უსაფრთხო დაცული საზღვრები, სურსათის უვნებლობა, მცირე და საშუალო

ბიზნესის ხელშეწყობა და სხვა მრავალი საკითხი. ამიტომ არის ასოცირების შეთანხმება ყოველისმომცველი დოკუმენტი და ჩვენი ქვეყნის რეგორმირების გეგმა. მის წარმატებული განხორციელებას ჩვენს განვითარებასა და ძლიერ, ეკონომიკურად მზარდ და დემოკრატიულ ქვეყნად ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

საქართველოს სტაბილური და უსაფრთხო მომავლისათვის ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციას ალტერნატივა არ აქვს. ეს არის ჩვენი გადარჩენის გზა და ამ გზაზე საზოგადოების კონსოლიდირებასა და სიმყარეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. საჭიროა მეტი სიფრთხილე, რათა პოლიტიკურ ჭიდილს ყველაზე მნიშვნელოვანი - ჩვენი ქვეყნის დემოკრატიულ და ძლიერ ოჯახში დაბრუნების პერსპექტივა არ დაუკარგოთ.

ელენე გოცაძე

- „ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის“ დირექტორი

შეიქმედო თავის გირ უვილს მოეფარა



შეიქმედო შეიქმედ ხალხს რა გამოეცა!
 ამ სოფლის ხშირი სტუმარი არ ვარ, მაგრამ რამდენ ღონისძიებასაც დავესწარი, იმდენი შეიქმედო და შეიქმედება ვნახე. შეიქმედებულე მართლაც გამორჩეულები არიან. მართლაც ის რად ღირს, რომ ისინი, თავიანთი ყოველდღიური ცხოვრებით, მშობლიურ სოფელში ყოველთვის საკუთარი ქვეყნის და მშობლიურ ქვეყანაში საკუთარი სოფლის პორტრეტს ხატავენ.
 30 სექტემბერს შეიქმედის საჯარო სკოლაში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის აფხაზეთში გმირულად დაცემული, ამ სოფლის ყველა და აღნიშნული სკოლის ყველა დროში ერთ-ერთი გამორჩეული კურსდამთავრებული გონა შილაკაძე გაიხსენეს.
 სკოლის შენობის მეორე სართულზე, იქ

სადაც აქური პედაგოგები და მოსწავლეები მართლაც შთაბეჭდველ სასკოლო ღონისძიებებს მართავენ, გონა შილაკაძის მუდმივი ექსპოზიცია სუნთქავს, რომელსაც ზემოდან დაპყრებს მშობლიური სოფლის ანდამატივით მიმზიდველი პანორამა. მართალია გითხრათ, ვაჟა-ფშაველას საფლავის შემდეგ, ასეთი საოცრად სადა და ორიგინალური გადაწყვეტა არსად შემხვედრია.
 რაც შეეხება ღონისძიების დაწყებამდე ამ ექსპოზიციასთან სკოლის დირექტორის, გონას თანაკლასელისა და დირექტორის, ქალბატონი ნინო სადრაძის სიტყვას, შეგაძნეო, რომ ის გმირის ისტორიას კი არ გვიყვებოდა, ცოცხალ გონა შილაკაძეს ესაუბრებოდა, ეფერებოდა და მივხვდი, რა დიდი შეცდომა დავუშვი, რომ ღონისძიებაზე უდიდესი ფონი დავუშვი.
 ღონისძიების ორგანიზატორმა, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, ქალბატონმა ნინო ლუმაბაძემ პროლოგი, მთლიანად,

სოფლისა და ქვეყნის ხელოვნური დღის პოტენციურ მესაჭეებს – სკოლის მოსწავლეებს მიანდო და არც შემცდარა. ბავშვებმა ქართული პოეზიის სანთლები ხსოვნად დაუნთეს თავიანთ თანასოფელს, თანასკოლს, თანამედროვე გმირს, რომელმაც სამშობლოსადმი საკუთარი სიცოცხლის გაღებით მარადისობაში გადაინაცვლა.
 აფხაზეთში იმ დროს განვითარებულ საბედისწერო მოვლენებზე, ოკუპანტის მიერ თავისმონებელი 13-თვიანი ომის პერიპეტეებსა და უმძიმეს შედეგებზე ისაუბრა ისტორიის მასწავლებელმა, ქალბატონმა სოფო ინგოროვამ.
 გონა შილაკაძის კლასის ხელმძღვანელი, ბიოლოგია-გეოგრაფიის მასწავლებელი ჟანა საბაშვილი ლამის დაშვრა შემოქმედელი გმირის ადამიანურ ღირსებათა ჩამოთვლით. მისი თქმით, გონა მოვლენა იყო სკოლაშიც და მოვლენა დარჩა შემდგომ ცხოვრებაშიც. გონას მასწავლებლობა კი მისთვის დიდი ბედნიერება იყო.
 თავისი სიტყვაში ცრემლი ვერ შეიკავა სკოლის ყოფილმა დირექტორმა ისტორიის მასწავლებელმა, ისტორიკოსმა გივი გიორგაძემ: „თან გვაძეგნა, თან გვეტრებოდა, როცა შენი გაზრდილი ახალგაზრდა კაცი ასეთნაირად იხდის მოქალაქეობრივ და მხედრულ ვალს სამშობლოს წინაშე. ფენომენური მონაცემების ახალგაზრდა გახლდათ, ყოველ საგანში ყოველთვის მომზადებული. ერთხელ ვთქვით მასწავლებლებმა, მოულოდნელად შევამოწმოთ, ასეც მოვიქცეთ და ხუთი ხუთიანი მიიღო იმ დღეს. მამამისი, რომერტ შილაკაძე ჩემი მეგობარი და კოლეგა იყო. ერთხანს თითქოს მაგრად იდგა, მაგრამ, ეტყობა, მაინც ვერ გაუძლო ასეთი შვილის დაღუპვით გამოწვეულ ტკივილს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული. უფაღს მადლობა, რომ დედა, ქალბატონი ნინა დღეს ჩვენთანაა და გვეგამყვება მთლიანად სოფელს“.
 ქალბატონი ნინო სადრაძის თქმით, „გონას პიროვნებაში ვერაფერს ნახავდით ხელოვნურს,

ბუნებრივი გახლდათ ყველაფერში, არ იყო კონფლიქტური, მაგრამ იყო სიმართლის მოყვარული, სამართლიანად განმსჯეელი.
 იცვამდა გემოვნებით, სადაც, კონტად, არავის უხდებოდა თეთრი პერანგი ისე, როგორც გონას.
 გონა შეუდარებელი იყო. ჩვენი თელორე ჭანუყვაძე გვასწავლიდა, დიდი თელორე მასწავლებელი. იმის მოწონება რომ დავუქმასხურებინა, მართლა მაგარი უნდა ყოფილიყავი. გონამ ესეც შეძლო. გონას წარმოჩენა არ სჭირდებოდა, წარმოჩინებული იყო ყოველთვის“.
 ღონისძიების კულმინაცია გახლდათ გონას დღის, ქალბატონი ნინას გამოსვლა: „დიდი მწუხარება განვიცადე, მაინც ამაყად ვდგავარ. მადლობელი ვარ ყველას, განსაკუთრებით მისი მეგობრების. გონა ისე წავიდა, დაოჯახება ვერ მოასწრო. მისი დღისმეგობარი, ჩემი შვილიშვილები, რომლებიც გონას არ იცნობდნენ, რადგან მისი დაღუპვის შემდეგ გაჩნდნენ, გონას იფიცებენ, გონათი ამაყობენ. სხვათა სიამაყესაც ვგრძნობ მისი თავგანწირვით. მე მადლობელი ვარ ჩემი შვილისა, რომ ასეთი ნაბიჯი გადადგა“.
 არ ვიცი, ჩვენი ტელევიზიები სად და როგორ ეტევენ გმირებს, მაგრამ ასეთ დედაში აძლენ ხანს გმირი ვერ დაინახო, ეს მხოლოდ სიბეცის ბრალი არ უნდა იყოს.
 „მადლობელი ვარ ჩემი შვილისა, რომ ასეთი ნაბიჯი გადადგაო, რა კარგად ბრძანა ქალბატონმა ნინამ – ლამაზად შვილის გამზრდელმა დედამ. გონა სხვანაირად ვერ მოიქცეოდა, რადგან ის ქალბატონი ნინას შვილი იყო, რადგან გონა იყო, შილაკაძე. ასეთი ადამიანის მხრებზე დგას „ამაყული, ენა, სარწმუნოება“. თქვენ ამაყი ხართ გონათი, ჩვენ კი – ორივეთი, თქვენი შვილითა და თქვენით, – უთხრა ქალბატონი ნინას ღონისძიების დასასრულს სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის გურიის სამმართველოს უფროსის მოადგილემ ალექსანდრე ბასილაშვილმა.

წლები საფუთროს უფრო ამბავებს



1 ოქტომბერი, 2015 წელი. საქართველოს პიძის აგუქუნებული ექო დაა ლათურის საჯარო სკოლის (დირექტორი ლეილა გაბეჩავა) შენობიდან გაძრა და ოპტიმიზმით გააგვრა ქართული ზეცა. პიძის სკოლის ამბავი ქართული მხედრული სიმღერა მოჭედა, სიმღერას – აფხაზეთის ომის ამსახველი უმძიმესი კადრები, კადრებს – საოცრად სახიერი მოსწავლეები და დევიზით „წლები საწუხარს უფრო ამბავებს“ დაიძრა მოგონებათა ფაქიზი მდინარე იმ ბიჭების სადიდებლად, ვინც თავი გასწირა, ვინც სისხლი დაღვარა“ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში.
 ქალბატონი მადონა ფირცხალაშვილის ორგანიზატორებით მომზადებულ, მხევივით ასხმულ კომპოზიციაში ეროვნული გმირების სურათებს ჩაენაცვლა ლათურული ვეშალ ღუმბახის – ამირან და შურა ღუმბახების თხემით ტრფამდე ქართულ ოჯახში დაბადებული ღვიძლითა ვაჟის, დაბის ღირსეული გმირი შვილის პორტრეტი.
 ლექსის სიმღერა მოსდევს, სიმღერას – ლექსი, ღონისძიების ძლივს დამტყვი საკლასო ოთახი ვერ გარინდელია, მერე ცრემლსა და აპლოდისმენტებს ერთად დვრის. ცერზე დგას ლათური, თავისი ხელმძღვანელებით – დაბის მაჟორიტარი დეპუტატით რუსან გაბაძითა და დაბამ მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლით ეშარ ბერიძით, ვეშალ ღუმბახის ერთადერთი დიდი, ნახით, ღონისძიების მონაწილეებით, სტუმრებით, ამაყობს, რომ აქ დაბადებულმა და აღზრდილმა თავისმა ღვიძლმა

შვილმა ქართულ მიწას ანაცვლა საკუთარი სიცოცხლე.
 ვეშალ ამირანის ძე ღუმბახი! დაიბადა 1969 წლის 14 ნოემბერს დაა ლათურში. 1987 წელს დაამთავრა ლათურის საშუალო სკოლა, სადაც წარჩინებით არ უსწავლია, მაგრამ გატაცებული იყო სპორტით. თავისუფალ ჭიდაობაში რაიონის ჩემპიონიც კი გახდა.
 1990 წელს გაიარა სამხედრო საფლდებულო სამსახური ჩეხოსლოვაკიაში. ჯარში მძლიოდ მუშაობდა. სერჟანტის წოდებით დაბრუნებულმა ლათურშიც მძლიოდ განაგრძო მუშაობა.
 აფხაზეთის ომში მონაწილედა 1992 წლის 26 სექტემბერს. პირველი საბრძოლო ნათლობა გაგრა-ლესელიძეში მიიღო. „მენაბდას“ 130-კაციან ვეშალს უთანასწორო ბრძოლაში მოუხდა ჩაბმა. იძულებით უკანდახეულბმა ტყის შუაგურეს თავი. ბოლომდე მებძოლ ლათურულ ნაიპერს ხელიდან არ გაუშვია თავისი საბრძოლო იარაღი და ბიჭებს ჩამორჩა. დაღუპულიც კი ევონათ, მაგრამ უჩვენლად შეძლო თავის დაღწევა, ოღონდ მთლიანად გაჭვარდა.
 მალე ისევ ჩაება ბრძოლებში. ქუთაისის ბატალიონის სახელით იბრძოდა სოხუმსა და ახალშენში. 14 ნოემბერს, თავისი დაბადების დღეს ჩაიდა მშობლიურ ლათურში, მეექვსე დღეს კი უკვე ტამიშის ბრძოლებში იყო ჩართული.
 ომში მესამედ წასვლიდან თვენახევრის განმავლობაში ოჯახმა არაფერი იცოდა მის შესახებ. 7 ანვარს ისე დაბრუნდა...
 მეთოხედ 30 მაისს წავიდა როგორც ქალბატონი ნახი ღუმბახი ისინებს, ბევრჯერ მოხდა სახლსა და ერთადერთ ღვიძლში შვილს... 15 ივლისს დაიღუპა, 16 ივლისს ვა ყარყარაშვილის მზრუნველობით ბათუმის სამხედრო ნაწილში დაასვენეს, 17 ივლისს კი დამ, ახლობლებმა, მუშობლებმა და დაბამ ლათურში დაიტრეს...
 24 წლის ბიჭი, სიკვდილის შემდეგ, ვასტანე გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.
 როგორც შეხვედრასზე ეშარ ბერიძემ აღნიშნა, დაბა ლათურში ყოველწლიურად ჩატარდება ვეშალ ღუმბახის სახელობის ტურნირი ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ როგორც ოზურგეთის, ისე მეზობელი რეგიონის დაბებისა და სოფლების გუნდები.

„მეც საქართველოს შვილი ვარ!“



2 ოქტომბერს ქალაქ ოზურგეთის №4 საჯარო სკოლის მეექვსეკლასელები (სკოლის დირექტორი ტარიელ კალანდაძე, კლასის ხელმძღვანელი ნანა ქალიფთარი) თავიანთი მოკრძალებული, მაგრამ საკმაოდ მრავლის კარგად მიქმული ღონისძიებით შეუერთდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული მეთომების ხსოვნის უკვდავსყოფად გამართულ ღონისძიებებს და დიდი პატივით მოგონეს ამ სკოლის კურსდამთავრებული ალექსანდრე კრუკიანი.
 „მეც საქართველოს შვილი ვარ!“ – ვერ დავიჩეებ, ეს სიტყვები მაინცა და მაინც მხოლოდ ალექსანდრე კრუკიანს ეკუთვნის-მეთქი, მაგრამ მას ამის თქმის უფლება და სურვილი რომ ჰქონდა, ეს ამ ღონისძიებაზეც ნათლად წარმოჩინდა.
 ქართველ კაცს ვერაფრით გააკვირვებ, მით უფრო თავგანწირვით, მაგრამ ეროვნებით სიმეხმა, ოზურგეთში შობილმა და აღზრდილმა ალექსანდრე კრუკიანმა, რომელიც თურმე შესანიშნავად საუბრობდა და წერდა ქართულად, ტოლი არაფრით დაულო ქართველებს და მათ გვერდით გმირულად იბრძოდა ბოლო ამოსუნთქვამდე. უკიდევანო ბავშვის ფანტაზია. სულ რაღაც ნახევარ საათში მოსწავლეებმა ქართული მხედრული სულის დუდილით ასმანეს კრუკიანისთვის გამორჩეული ქართველი პოეტის ლაღი ასათიანის მღაღი პოეზია, ააუგუნეს ფიცხელ ომში სამღერი მუღიღები.
 გმირის მასწავლებლებმა შხა ურუმბექ გაიხსენა

ალექსანდრეს ბავშვობა. გააცოცხლა რამდენიმე საინტერესო ისტორია სასკოლო ცხოვრებიდან, რომელმაც ფოტოებზე ალექსანდრე კრუკიანი.
 ნანა ქალიფთარის თქმით, ღონისძიებაზე მოწვეული ჰყავდათ ალექსანდრეს მამა 84 წლის სტეფანე, მაგრამ ის შეუძლოდ გამოხდა და აბტომ ვერ მიახერხა მოსვლა:
 „შეგვიბრდა ბატონი სტეფანე, აუცილებლად მოვლო, მაგრამ დღეს შეგვატყობინა, შეუძლოდ შევიქნე, ვერ მოვდვარო და ბოდიშც მოგიხდა“.
 როგორც სკოლის დირექტორმა ტარიელ კალანდაძემ აღნიშნა, სკოლას დახაც აქვს საამაყო, რომ მის კვლდებში აღიზარდა ალექსანდრე მანვე მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და თქვა, რომ მე-5 საჯარო სკოლისთვის მსგავსი ღონისძიებები უცხო არც ადრე ყოფილა და არც მომავალში იქნება.
 „საქართველო აფხაზეთის გარეშე ვერ წამოიძვინა. მჯერა, ეს თაობა, გარდა იმისა, რომ უკვდავსოფს ამ ომში დაღუპულთა ხსოვნას, შეძლებს საერთო ენა გამოინახოს აფხაზეთთან და ეს იქნება საქართველოს გაერთიანებისა და გაბილიანების თაობა. – აღნიშნა კლასის ხელმძღვანელმა ნანა ქალიფთარმა. სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის გურიის სამმართველოს უფროსის მოადგილემ ალექსანდრე ბასილაშვილმა მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებსა და მოსწავლეებს აფხაზეთში დაღუპული მეთომების ღვაწლის ესიღენ დაფასებისათვის.
 ალექსანდრე კრუკიანი დაიბადა 1959 წელს, ოზურგეთში. 1965 წელს შეიყვანეს ოზურგეთის რუსულენოვან სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1975 წელს. აფხაზეთის ომის დაწყების დროს ალექსანდრე კრასნოდარში იმყოფებოდა, მაშინვე ჩამოვიდა საქართველოში და მონაწილედა წავიდა აფხაზეთში. 1993 წელს ოჯახს მისი დაღუპვის ამავი შეატყობინეს.
 სამი შვილი ღვიდამ ალუზარდა, ვერ მოესწრო ოთხ შვილიშვილს. ალექსანდრე კრუკიანი დაკრძალულია მოდიანანეს სასაფლაოზე. მის საფლავზე ამაყად ფრიალებს ჩვენი ქვეყნის ეროვნული დროშა.
 საქართველო ქელს იხრის აფხაზეთში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული მეთომის წინაშე და პატივს მათებს მის ხსოვნას.

გურიის რესპუბლიკის კრედიტი ბენია (ბენიამინ) ჩხიკვიშვილი.



ჟურნალ „მოგზაურის“ მიერ გამოქვეყნებული ვარაუდი სავესებით დადასტურა მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ. რუსეთის პროლეტარიატის 1905 წლის შეიარაღებული აჯანყების კვლადკვლ, მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდა გურიაში „დროებითი ზავი“ დაირღვრა აჯანყებულმა გურიის გლეხობამ, - გურიიდან განდევნა მთავრობის ჯარის ნაშთები. 10 დეკემბერს აჯანყებულმა ხალხმა, წითელ რაზმელთა მეთაურობით საბოლოოდ გაწმინდა მაზრის სამმართველო და მთელი გურია პოლიციელებისა და მთავრობის მოხელეებისაგან. გურიაში შემოღებული იქნა ხალხის მმართველობა შესაბამისი წესებითა და კანონებით, რის საფუძველზე წარმოიქმნა გურიის რესპუბლიკა. ამრიგად, გურიაში 1905 წლის თებერვლიდან მთავრობის ძალები დეზორგანიზებული-პარალიზებული მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ხოლო 1905 წლის ოქტომბრიდან 1906 წლის 12 იანვრამდე მთელი ძალაუფლება რევოლუციური ხალხის ხელში გადავიდა.

„გურიის მაზრის მთელი ტერიტორია - აღნიშნულია საარქივო დოკუმენტებში - ამჟამად უკვე რევოლუციური კომიტეტისა და ხალხის სრულ განკარგულებაშია. მთავრობის ყველა მამასახლისმა და მწერალმა განუცხადა მაზრის უფროსს, რომ მათ არ შეუძლიათ სამსახურის განგრძობა, რადგან ყველგან მოსახლეობის მხრივ ძალადობასა და დაცინვას განიცდიან. ოზურგეთის მაზრაში მივლინებულ რვა პოლიციის მოხელეს შორის, კოსტავა მოკლეს, კვაშალი დაჭრეს, ქავთარაძემ

და ნაკაშიძემ თხოვნა შეიტანა გადადგომის შესახებ. ასევე მოიქცნენ არსენიშვილი და ყიფიანი. გურიანთის ბოქაული სალაყაია ჩამოვიდა ოზურგეთში და იქ ცხოვრობს, ისე, რომ სახლიდან არ გამოდის რევოლუციონერთა შიშით. მთავრობის პირები ავადმყოფობის მომიზეზებით გურიიდან გარბიან.

გურიის კომიტეტის ინიციატივით მთელი გურია დაყოფილი იქნა 7 რაიონად. გურიის კომიტეტთან შეიქმნა სამხედრო შტაბი, გრიგოლ ღუმბაძის ხელმძღვანელობით, რომელიც ამჟამად კაზაკებზე და ჯარის ნაწილებზე თავდასხმის გეგმას შტაბი განთავსებული იყო ქოზურგეთში ჩიგოვიძის ბინაში. სადაც გამართული იყო აგრეთვე იარაღის საწყობი. შტაბის განკარგულებაში იყო ე.წ. „განსაკუთრებული რაზმი“ პოლიციელთა განიარაღებისათვის და წითელი ჯვრის სანიტარული ნაწილები.

აღსანიშნავია, რომ გურიაში ამ დროისათვის 15 ათასამდე შეიარაღებული რაზმელი იყო. ამთგან 2 ათასამდე კარგად შეიარაღებული დღედაღამ იდგა რევოლუციის მონაპოვართა სადარაჯოზე. როგორც ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდებში დაცული მასალებიდან ვგებულობთ „გურიის კომიტეტი ფაქტობრივად მართავდა მთელ გურიას, მისი თანხმობის გარეშე არავის არ შეეძლო ზედმეტი ნაბიჯის გადადგმა ქუჩაში. ოზურგეთში და ყველა სოფელში გაკრული იყო შემდეგი განცხადებები: მოქალაქენო გურიაში არსებობს სამხედრო რევოლუციური შტაბი, რომლის მოვალეობაა გურიის საბრძოლო რაზმების ფორმირება და მათი ხელმძღვანელობა ამა თუ იმ რევოლუციური გამოსვლის შემთხვევაში. სამხედრო შტაბი მკაცრად იცავს სამხედრო რევოლუციურ დისციპლინას, ზოგი სამხედრო რაზმელების წევრები მოქმედებენ გარეშე პირებთან ერთად, ხულიგნურად იტაცებენ ყველაფერს, რაც ხელში ხვდებათ, ამიტომ სამხედრო შტაბი აცხადებს, რომ: 1. სასტიკად იკრძალება მსგავსი საქციელი. 2. სასტიკად ეკრძალება კერძო პირებს ქოზურგეთში იარაღის ტარება. 3. იკრძალება ყოველნაირი ვაჭრობა და გადაცემა იარაღისა და სამხედრო მასალის შტაბის ნებართვის გარეშე. 4. სამხედრო შტაბი დროებით ნიშნავს პატრულს ქალაქში. 5. დამნაშავე პირები გადაეცემიან სასამართლოს-გურიის რევოლუციური სამხედრო შტაბი, დეკემბერი 1905 - გურიის კომიტეტის

სტამბა.“

კომიტეტის ინიციატივით ოზურგეთში ქალაქის მოედანზე და ქალაქის ბაღში მოეწყო სახალხო მიტინგები, რომელსაც ესწრებოდნენ წითელი ასულები დროშებით, რომელსაც ეწერა: „ძირის თვითმპყრობელობა“, „გაუმარჯოს რესპუბლიკას“ „გამოდოდნენ ორატორები და მოუწოდებდნენ არსებული წყობილების დამხობას „...კომიტეტმა 1905 წლის ნოემბრის ბოლოს მოაწყო ქალაქის თვითმართველობის არჩევნები, საყოველთაო, თანასწორობა და ფარული კენჭისყრის პრინციპით სქესის განურჩევლად, ჩატარდა ხელახალი აღწერა ქალაქის მოსახლეობის, არჩეული იქნა რევოლუციონერები, რომლებმაც არ დააყოვნეს ქალაქის სამმართველოს შენობის, საქმის წარმოების, სალაროს და სხვ. ექსპროპრიაცია. სამხედრო შტაბის მიერ ქუთაისის გუბერნიის სხვადასხვა ადგილებში დაიგზავნა წითელრაზმელები რევოლუციური მოძრაობის დასახმარებლად და ქუთაისის გუბერნიის სამთავრობო ჯარების გამოგზავნის შესაფერხებლად. სადგურ ნატანებში 1905 წლის 15 ნოემბრიდან მზად ყოფნაში იყო სამხედრო რაზმი, რომელიც იცავდა ოზურგეთში მიმავალ გზას. გზებზე კი მოწყობილი იყო ბარიკადები, ტელეგრაფით მიმდინარეობდა დეპეშების გაცვლა მაგ. იყო ასეთი დეპეშები: „ჩვენი მებრძოლები გურიიდან არ გაუშვან, მზად იყავით, სიგნალით იერიშზე. მთავრობა ამკარად რეპრესიების გზას დაადგა. გაფიცვა მოვსენით, თქვენი დახმარება არ არის საჭირო. გურიის კომიტეტი ნელ-ნელა ყველაფერს ხე ღმი იგდება და ბატონობდა ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი მართველობის ყველა დარგში. ჩამოყალიბდა სასწავლო ბიუროები, საგანგებო საბჭოები ქალთა და ვაჟთა სასწავლებლისათვის, დანიშნა თავისი სახალხო სასწავლებლის ინსპექტორი.

იარაღის მოპოვება გამალებულად მიმდინარეობდა პლასტუნების ბატალიონის შტაბიდან, ქუთაისის გუბერნატორის სტაროსელსკის თანხმობით კომიტეტმა წაიღო 300 თოფი, ადრე მოსახლეობიდან ჩამორთმეული. მოეწყო თავდასმა სამხედრო მატარებელზე სუფსასა და ჯუმათის შორის, წაიღეს 128 სახაზინო რევოლვერი. გურიის მაზრაში რევოლუციის გამარჯვებისა და ახალი სახელმწიფოებრივი წყობილების შექმნის შესახებ საარქივო

მასალებში ნათქვამია: „რუსეთის იმპერიის სახელმწიფოებრივი წყობილების ფონზე ქუთაისის გუბერნიის (გურიის მაზრა) მომხდარი ამბები იმდენად განსაკვირებელია, რომ უცხოელები სპეციალურად ჩამოდიან კავკასიაში იმ მიზნით, რომ საკუთარი თვალთ ნახონ და ადგილზე გაიციონ სახელმწიფოებრივი წყობილების ახალი ფორმები“ (ო.ი.ფ.საქმე 43)

გურიის მთელი მოძრაობის ცენტრალური ფიგურა და რევოლუციური კომიტეტის მეთაური იყო ბენია (ბენიამინ) ჩხიკვიშვილი, გურიელი თავად-ახნაური 26 წლის, დაიბადა სოფელ საყვავიასტყეს (დაბლაციხე) ოზურგეთის მაზრა. სწავლობდა ჩოხატაურის ერთკლასიან სასწავლებელში, აქტიურად მონაწილეობდა 1905 წლის რევოლუციაში, თვითმპყრობელობის ძალების თავდასხმის მომზადების სული და გული იყო. მას მხარში ედგა სახელგანთქმული პიროვნება ნესტორ ერქომაიშვილი, ცალკეულ რაზმებს ხელმძღვანელობდნენ ნესტორ ერქომაიშვილი, ახნაური კიკია მაშულაშვილი, ახნაური დათიკო შევარდნაძე და სხვები“ (ი.სიხარულიძე, ბენია ჩხიკვიშვილი, ხელნაწერი, თბ. 2010 წ.).

ხალხი ბენია ჩხიკვიშვილს ჯერ „გურიის მეფეს“, შემდეგ კი გურიის რესპუბლიკის პრეზიდენტს“ ეძახდა. ბენიას განკარგულებებს უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ, მისი გავლენა ვრცელდებოდა რკინიგზის საზღვრებზეც, მაგ. თუ ის მოისურვებდა სადმე გამგზავნას, და ამის შესახებ განაცხადებდა სარკინიგზო ტელეფონით, მის განკარგულებაში ავზავნიდნენ ბათუმიდან ან სამტრედიიდან განსაკუთრებულ მატარებელს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ რკინიგზაზე გაფიცვა იყო იგი დადიოდა მცველების თანხლებით და მის წინაშე ყველა მოწიწებით იხდიდა ქედს და უთმობდნენ გზას, ფლობდა, რა ორატორის ნიჭს, ახდენდა დიდ შთაბეჭდილებას, თავის გამოსვლებში იმეორებდა, რომ უნდა დაცივან რესპუბლიკა, „ღმობრატული საწყისები“ ის ამბობდა: „ნუ ფიქრებით, რომ თავისუფლება ადვილი მოსაპოვებელია, შესაძლოა სისხლის დაღვრაც მოგვიხდეს, მაგრამ ჩვენ ჩვენი არჩეული გზით უნდა წავიდეთ და მხოლოდ მაშინ მოვიპოვებთ თავისუფლებას, ძირს სამარცხინო მთავრობა გაუმარჯოს რესპუბლიკას.“ როცა ცნობილი გახდა, რომ თბილისიდან მოემართებოდა დამსჯელი რაზმი ბენია გამაშფვეტ ზომებს იღებდა. რამდენიმე დეპეშა მისი მიმწერიდან:“

ნატანები, დელეგატებს, არ მისცეთ პლასტუნებს არც ურმები, არც მატარებელი, არც ორთქვალები გაანერეთ ნატანებთან ახლოს“, ბენია. ბენიას დეპეშა სამტრედიიდან იოსებ გოგობერიძის სახელზე: ოზურგეთიდან პლასტუნები მიემგზავრებიან ბათუმში, შეატყობინეთ ამის შესახებ ბათუმის ორგანიზაციას და მიიღეთ სათანადო ზომები, „დეპეშა ოზურგეთში: „სოც-დემ. ორგანიზაციას. მოახდინეთ ძალების მობილიზაცია, ჩვენ გავიმარჯვებთ, ელოდეთ შეტეობინებას.“ ბენია ჩხიკვიშვილი იყო მთავარი ფინკ იბრძოდა ოზურგეთის საქალაქო სამართველოს „დროებითი პარლამენტი“, შეცვლისათვის იგი ამ „დროებითი პარლამენტის თავმჯდომარედ იყო არჩეული, მან 970 ხმადან მიიღო 958 ხმა „(ო.ი.მ. საქმე 43)“. როდესაც კრილოვი ოზურგეთში შემოვიდა და რევოლუციონერები დაარბიეს, გურიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ბენია ჩხიკვიშვილი გურიიდან გაიქცა, 1908 წელს თბილისში დაიწყო „გურიის რესპუბლიკის“ სასამართლო პროცესი, სასამართლოს წევრებს ამინებდათ, რომ გურიელი რევოლუციონერები, მათზე ტერორისტულ თავდასხმებს მოახდენდნენ და ამიტომ ჩხიკვიშვილის და „მთავრობის“ სხვა წევრების გასამართლება ოლესაში გადაწყდა. გურიელების რეპუტაციის გამო სასამართლოს მდივანი ციხეში რევოლუციური მართული გოროდოვით მიბრძანდა, მაგრამ როცა ნახა იტელიგენტური შესახედაობის, ვერაპულად ჩაცმული ადამიანები, გოროდავოები მაშინვე გაუშვა და გურიელებს თავისი განცვიფრება გაუხიარა, საბოლოოდ ბენიას ოთხი წლით კატორდა მიუსაჯეს, რამდენიმე კაცს სამუდამო. ორი გაათავისუფლეს.

მოგვიანებით ბენია ჩხიკვიშვილი მენშევიკური მთავრობის ერთ-ერთ გავლენიან პირად იქცა, ის სხვადაცხვა თანამდებობაზე მუშაობდა: არჩეული იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად და თბილისის მერად, იბრძოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ ქუთაისის გუბერნიასა და ბათუმის ოლქში, იყო ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი „ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორი.“ ყველგან, სადაც კი უმუშავებდა ბენია ჩხიკვიშვილს, იგი იღწვოდა პატიოსნად და მშობლიური ერის დიდი სიყვარულით.

(ზაბრძალება იქნება) მოაზრდა მანანა ლომაია

ბაბუა ტარიელ სამსონიას გახსენება



ბაბუ, შენ მაგალითი იქნები ჩემთვის მთელი ცხოვრების განმავლობაში.

შენს საფლავს არასოდეს მოაკლდება ცოცხალი ყვავილები და სანთელი. როგორ მენატრება შენი სიყვარულით მომზიარალი თვალები და გემრიელი დაძახება: „ნიკუშა, ბაბუ!“

უკლებლივ ამოვალთ შენს საფლავზე შენი ახლობლებითურთ და ისე მოვილოცავთ დაბადების დღეს.

უფალს შევთხოვთ, ნათელში გვიმყოფოს შენი სული. სანთელმა და ლოცვამ გაგინათოს სასუფეველის გზა.

შენი ნიკუშა.

ნსოვნა



მეუღლე რომან სირაძე, მმა თემურ თავიშვილი, შვილები ნიკოლოზ და ნოდარ სირაძეები, რძლები მანანა და ლალი, მულები ზიუელი და ვანდა, სიძეები გურამ ქილიფთარი და ჯემალ ჩხიკვაძე იუწყებიან **ია თავლიშვილის** გარდაცვალებას.

დაკრძალვა 6 ოქტომბერს, ინგოროყვას 21, ქ. ოზურგეთი.

თემურ, ნანა, დავით და ელენე მარშანიშვილები თანაუგრძნობენ რომან სირაძეს, ნოდარ და ნიკოლოზ სირაძეებს მეუღლისა და დედის **ია თავლიშვილის** გარდაცვალების გამო

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია თანაუგრძნობს ჟურნალისტ ნოდარ სირაძეს დედის ქალბატონი **ია თავლიშვილის** გარდაცვალების გამო.

განცხადება

ქირავდება, იყიდება გრიბოედოვის ქ. №21-ში I სართულზე 90 კვ. მ ფართის საცხოვრებელი სახლი, რომელიც გამოიყენება კომერციულ საჭიროებისთვის და საოფისედ.

ტელ. 599 587 532.

გიწვევთ ულაგაჟის 400-კაციანი ღარბანი ქალაქის ცენტრში. მოზრანდით და ისიამოვნეთ!



„აიკო“

593 95 61 83



ავტომობილები განვადებით



ავტომობილების განვადება 6-დან 36 თვემდე 2%-ში. დაზღვევით ნებისმიერი ავტომობილი ამერიკის და იაპონიის აუტომობილებიდან, ფილი ზედადული არ არის, მოქმედებს შიდა უპროცენტო განვადება 3 თვით + გაცვლა. გარანტიით, საკამოდ დაბალი ფასები.

ტელ. 595 11 10 30; ზურა, 598 47 47 03 დათო.

მისამართი: ქ. ოზურგეთი, 26 მაისის ქ. №11, მ-2 საჯარო სკოლის გვერდით.



გზა ოზურგეთიდან ბრაიტონაგდე



დიდი, ფიქრიანი თვლები მუდამ მოლოდინით ჰქონდა სავსე. ფიქრებით მონატრებულ მამას ესაუბრებოდა და... ეს საუბარი კვლავ ფიქრებში დარჩა. ამიტომაც არ ჰქონია ლაღი ბავშვობა. თვალკრემლიანი ბებო და ბაბუ, დედის თვლებში ჩაძირული, შვილისთვის თითქოს შეუმჩნეველი სევდა... მაგრამ ის მამასავით ძლიერი სულის იყო და პატარაც იმაზე მეტს ზედავდა და გრძობდა, ვიდრე ეს უფროსებს ეგონათ.

რეზო ბერაძე აფხაზეთში დაკარგული ლევან ბერაძის შვილია. ჟიური შარტავას დაცვაში იყო, ერთადერთი, რაც ბოლო წლებში მამის საბრძოლო ისტორიის შესახებ იცის. წიგნის სიყვარული თავიდანვე გაითავისა და დიდ დროს სამსახურში დედასთან, ქეთევან ჩხარტიშვილთან ერთად ატარებდა ოზურგეთის

ცენტრალურ ბიბლიოთეკაში.

ბავშვობიდანვე დინჯი და მიზანდასახული იყო. მეორე საჯარო სკოლის წარმატებულმა მოსწავლემ, ეტალონის სამუშაო გამარჯვებულმა, ეტალონის გურიის ტიტული მოიპოვა და ერთ-ერთ ჯილდოდ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში იმოგზაურა.

რეზომ წარმატებით ჩააბარა ეროვნული გამოცდები. 100%-იანი გრანტით სწავლა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბიზნესის ადმინისტრირებისა და მართვის ფაკულტეტზე გააგრძელა. წარმატებულმა სტუდენტმა ისევ 100%-იანი გრანტით დაამთავრა მაგისტრატურა.

ორი წელია ფუნქციონირებს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივითა და

მხარდაჭერით შექმნილი განათლების საერთაშორისო ცენტრი, რომელიც აფინანსებს წარმატებულ სტუდენტებს მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში. რეზო ამ კონკურსის ერთ-ერთი გამარჯვებულია და ის ამჟამად დიდ ბრიტანეთში, ქ. ბრაიტონში სასექის უნივერსიტეტში აგრძელებს სწავლას.

ჩემთვის და კონკურსის ყველა გამარჯვებული სტუდენტისთვის დიდი მხარდაჭერაა პრემიერის ეს ინიციატივა, რაც შესაძლებლობას აძლევს ახალგაზრდებს, გაიდრამონ სწავლა და თავიანთი პროფესიონალი დონე აიმაღლონ – ამბობს რეზოს დედა, ქ-ნი ქეთევანი და მის თვლებში, სევდის გვერდით, იმედის სხივი ისადაგურებს.

წარმატებებს ვუსურვებთ რეზოს.

მადლი უფლისა და რწმენის კალა

და მელნისფერი ზეცისთვის ჩემად შეგარებნა მზეს ღია ალისფერი სხივები ცისა და მწიის გზას-აყარან. ნელ-ნელა აიკრიფა ღამის ფერები. შემოქმედული მიტრალიზიტის, მეუფე იოსების კურთხევითა და ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ოზურგეთის საკათედრო ტაძრის წინამძღვრის, დეკანოზ მამა ბასილი კვიციანიანის ლოცვით, ოზურგეთიდან, კახეთის მონასტრების მოსალოცად წასული მრევლი საგარეგოს მურციანაძის სოფელ ნინოწმინდას, დედათა მონასტრის გაღვანთან, ლოცვითა და გალობით შეეგება ალიონს.

დედა სიღონა გამოეგება მამა ბასილს, ტაძრის ისტორია მოუთხრო მრევლს. დიდი გაღვანით შემოსაზღვრულ ეზოში ღვთისმშობლის მიძინებისა და წმინდა ნინოს სახელობის, ერთი დიდი და ორი პატარა ტაძარი დგას მე-5, მე-6 საუკუნეებისა. ჩამონგრეულია დიდი ტაძრის გუმბათი, ფუძე-კედლები „კვლავ დამდგარან ლოცვა-ვერებდა“.

აღრე დილის მოუხედავად, გაეღვიძა სოფელს. ნახირს უკვე მიერეკებოდნენ საბოგარზე. გაეცაურებო. 700 კომლი ცხოვრობს ნინოწმინდას. დიდი გვარება იფანაშვილები, კონიაშვილები, შიოშვილები რთველი ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ სამხადისი დაწყებული

ჰქონდათ.

– „40-მდე კომლის თუ ექნება ვენანის დიდი ნაკეთი, წლების წინ, მოვლასაც ვერ ვახერხებდით, სახლიდან საკმოდ დიდი მანძილთ დამორბეული ბაღები გაგვეფერანდა, ახლა ვცდილობთ ადღვენას“ – გვითხრეს.

სიღონაში, ბოდბეს წმინდა ნინოს სახელობის მონასტერი შემოგვეგება თავისი დიდებულებით. წმინდა ნინოს საფლავის მოლოცვის შემდგომ, ითანე ნათლისმცემლის სახელობის გაქარის ტაძარი, კარდნასში საბა განმწმუნდელის ლავრა მოელოცეთ.

გურჯაანს ვეწვიეთ იმე დღეს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ვეჯინის ლავრა, რამდენიმე კილომეტრით დამორბეულ მიწებში, ვეჯინის მამათა მონასტერი სამ ტაძარს მოიცავს, ამაღების, ადღამის, ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი. გურჯაანშივეა ყოვლადწმინდას სახელობის ტაძარი. თელავს სტუმრობის მეორე დილა ერეკლე მეორის სასახლის წინ, დიდ ჭადართან მუხლმოყრით დაიწყო. ჭადარი, უსიტყვო მემკტანე ერის ბეღობისა, თუ უბეღობისა. იყალიო. ჩვენი სულიერებისა და კულტურის უდიდესი კერა. მზრუნველი ხელი სჭირდება ირვლევი ყოველივეს, ბავშვობისდროინდელი მოგზაურობა გამასწვდა იყალიოში, მოხუცი ბერის ნამო-



ბი- აქ გვირავია, რომელიც უდიდეს წიგნისაცავთან და განმსაცავთან იყო დაკავშირებული, და ის უერთდებოდა დასავლეთ საქართველოსთან მაკავშირებელ უსაფრთხო გზას. მას შემდეგ წლები გავიდა. გვირავი არსებობს, კვლავ შეუსწავლელი. იქც სამი ტაძარია, იყალიოს ფერიცვალების, ღვთისმშობლის მიძინების, სამების სახელობისა.

ალავერდი, წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერი, 11-ე საუკუნეში, შირიმის ქვებით, სვეტიცხოვლის ტოლად აგებული. გრემი, მთავარანგელოზის გორაზე, კახეთის სატახტო ქალაქი

მე-15 საუკუნეში, მუხეხეში...

მალა მიემართები, თითქოს ცას უახლოვდები, ნეკრესი გვეგება მადლით. ორი ტაძარია იქ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა და აბიბის ნეკრესელის სახელობის. გარდაცვლილთა სულების საოხად იქვე გადინდა პანაშვიდი მამა ბასილმა. მერე ბეღი და ახალი შუამთა. შეზინდებული იყო უჯარმას რომ ვეწვიეთ. ვგარბატონის სახელობის ტაძარი, ციხე ქალაქი, საკმოდ დამინებული და მოსავლელი, უდიდესი ისტორიის თანამონაწილე, სულიერების სავანე ახლა საჭიროებს ადღვენას. იქ მართო ცხოვრობს ერთი, შუასანს გადაცილებული ადამიანი, რომელიც ბიძინა უჯარმელის სახელთ გაგვეწვინო, ციხე-ქალაქისა და ტაძრის ისტორიასა და პრობლემებზე ისაუბრა. აღნიშნა, რომ ბერობისთვის ემზადება.

ეს ორი, გასაოცარი მადლით დასუნძულელი დღეც მიიღია, მრევლი დაუბრუნდა ოზურგეთს.

ამ საოცხოო ტაძრების მოლოცვის შესაძლებლობებისთვის მადლობას ვუხდით „ქართუ ვეგუფის“ აწარა-გურიის რეგიონალური სამშენებლო სამუშაოების სამსახურის უფროსის ბატონ კონსტანტინე შარაშენიძეს. ვულოცავთ შვილიშვილის შეტენას. სიკეთე უმრავლოს უფავდა.

7 დღის ამინდის პროგნოზი						
<p>მზა, ღრუბაილი +12+22</p> <p>5 ოქტომბერი ორშაბათი</p>	<p>მზა, ღრუბაილი +15+25</p> <p>6 ოქტომბერი სამშაბათი</p>	<p>წვიბა +13+22</p> <p>7 ოქტომბერი ოთხშაბათი</p>	<p>წვიბა +10+18</p> <p>8 ოქტომბერი ხუთშაბათი</p>	<p>წვიბა +13+16</p> <p>9 ოქტომბერი პარასკევი</p>	<p>წვიბა +9+15</p> <p>10 ოქტომბერი შაბათი</p>	<p>მზა, ღრუბაილი +19+22</p> <p>11 ოქტომბერი კვირა</p>